წერილის ნომერი: **30-30231603**
თარიღი: **09/06/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით (კანცელარიის ნომერი 30-302308884 29/03/2023 წელი) მომართა შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/კ 203836233) წარმომადგენელმა გივი კუბლაშვილმა, რომელმაც სამი წლის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა, განსაზღვრა პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის საფასური.

(რომელიც შეადგენს - 3600 ლარს)

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი პროექტი და მოგვცეთ თანხმობა.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ეკა გუჯაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

წერილის ნომერი:**08-302315168**
თარიღი: **31/05/2023**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის

სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით: აღნაგობა; უზუფრუქტი; ქირავნობა; იჯარა; თხოვება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით, ამავე დადგენილების 36 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს „საქართველოს ფოსტა“-მ (ს/კ 203836233) N POST 23 00007576 განცხადებით (კანცელარიის ნომერი 30-302308884 29/03/2023 წელი) რომლითაც მოთხოვნილი იყო ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394 წინანდელი საკადასტრო კოდი 27.06.51.006) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე 2022 წლის 22 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება ან ახალი ხელშეკრულების გაფორმება ძველ ხელშეკრულებაში არსებული პირობებით.

ვინაიდან ზემოთაღნიშნული უძრავი ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას (იმავე ტერიტორიაზე პრივატიზებული და იჯარით გაცემული უძრავი ქონებების ფასი მნიშვნელოვნად აღემატება „საქართველოს ფოსტასთან“ წინა ხელშეკრულებაში არსებულ ფასს) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ შპს „საქართველოს ფოსტა“-ს

მისწერა (კანცელარიის ნომერი 10/30230754-30 16/03/2023 წელი) საკუთარი პოზიცია უძრავი ქონებასთან დაკავშირებით, ახალ ხელშეკრულებაში საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე, რაზედაც შპს „საქართველოს ფოსტა“-მ წერილით N POST 23 00012979 (კანცელარიის ნომერი 30-302308884 29/03/2023) განაცხადა თანხმობა ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394 წინანდელი საკადასტრო კოდი 27.06.51.006) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ახალი პირობებით გაფორმდეს საიჯარო ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა გადაეცეს განმცხადებლს სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394 წინანდელი კოდი 27.06.51.006) 6 კვ.მ. -ი და წლიურ საიჯარო ფასის ოდენობად განისაზღვროს 3600 ლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადად ორი წელი.

გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს შესაბამისი პროექტის მომზადება.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

წერილის ნომერი:**08-302315953**
თარიღი: **08/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული და სამართლებრივი

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს

შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა

ჩვენი 2023 წლის 31 მაისის N 08-302315168 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394 წინანდელი კოდი 27.06.51.006) 6 კვ.მ. -ის სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით „საქართველოს ფოსტითვის“ გადაცემას, დამატებით გაცნობებთ რომ ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ხელშეკრულების ვადად განისაზღვროს 3 წელი.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302308884**
თარიღი: **29/03/2023**

ადრესატი: შპს საქართველოს ფოსტა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203836233
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი №2

შპს საქართველოს ფოსტის ქონების მართვისა და

ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გივი კუბლაშვილს

ბატონო გივი,

თქვენი 2023 წლის 15 მარტის N POST 23 00007576 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ მუნიციპალიტეტს არ მიაჩნია მიზანშეწონილად იგივე პირობებით გაფორმდეს ივჯარის ხელშეკრულება რადგანაც აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება გაცილებით აღემატება თქვენს მიერ შემოთავაზებულ თანხას.

მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას განიხილოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის საკითხი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

POST 23 00012979

03/05/2023

ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი, 2023 წლის 29 მარტის N 30-302308884 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს ,,საქართველოს ფოსტა" თანახმაა წერილში დაყენებული საკითხი, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემას, განხილოთ საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ქონების მართვისა და ტრანსპორტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუბლაშვილი გივი

შპს „საქართველოს ფოსტა"
ს/ნ: 203836233
სადგურის მოედანი N2,
თბილისი 0100, საქართველო

POST 23 00007576

15/03/2023

ქ.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

მოგეხსენებათ, რომ 2022 წლის 22 მარტს ჩვენ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს ,,საქართველოს ფოსტას" გადმოეცა მიწის ნაკვეთი (ს/კ N27.06.51.006) ფართით 6 კვმ, სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 22 მარტამდე.
მოგმართავთ თხოვნით, გაგვიგრძელოთ აღნიშნული ხელშეკრულება 3 წლის ვადით ან პირდაპირი განკარგვის ფორმით გაგვიფორმოთ ახალი საიჯარო ხელშეკრულება (ანალოგიური პირობებით). გთხოვთ, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისას, მოგვცეთ თანხმობა, რომ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთი გავცეთ ქვეიჯარით.

პატივისცემით,

ქონების მართვისა და ტრანსპორტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუბლაშვილი გივი

შპს „საქართველოს ფოსტა“
ს/ნ: 203836233
სადგურის მოედანი N2,
თბილისი 0100, საქართველო

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს გადასცეს, შპს „საქართველოს ფოსტას“ (ს/ნ 203836233) სამი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მუხლი 2. სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის ღირებულება განისაზღვროს - 3600 ლარის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

004391018

ექსპერტის დასკვნა № 004391018

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა:

თანამდებობა: მერი

მისამართი:

სახელი და გვარი: ალექსანდრე სარიშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

დავით ლორთქიფანიძე / დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.

ილია აბესაძე / დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გაცნობებთ, რომ გვესაჭიროება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებულ N27.14.50.005, N27.14.45.261 და N27.14.45.024 საკადასტრო კოდებზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობისა და ღირებულების შესახებ ექსპერტიზის დასკვნა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებულ N27.06.51.006 საკადასტრო კოდზე მდებარე მიწის ნაკვეთის ღირებულების შესახებ და N27.05.44.009 საკადასტრო კოდზე მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობის ღირებულების შესახებ. N27.14.50.005, N27.14.45.261 და N27.14.45.024 საკადასტრო კოდებზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობისტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრისას შენობა-ნაგებობის მდგომარეობა ჩაითვლება არადამაკმაყოფილებლად და მიზანშეწონილი იქნება მისი დემონტაჟი, გამომდინარე აქედან საჭირო გახდება თქვენს მიერ დემონტაჟის ხარჯებისა და დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალების ღირებულების განსაზღვრა.

მიმოსვლის თარიღი: 02.04.2018წ.

გასვლის თარიღი: 26.06.2018წ

დასკვნა

1) ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებულ N27.14.50.005, N27.14.45.261 და N27.14.45.024 ნაკვეთებზე განლაგებული შენობა-ნაგებობები ავარიულ მდგომარეობაშია და ექვემდებარებიან დემონტაჟს. დემონტაჟის დანახარჯების გაანგარიშება მოცემულია დანართ N1-3-ში და დანართების მიხედვით შეადგენს 14679 ლარს, ხოლო დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 13698.46 ლარს (იხ. დანართები N1, N2, N3).

2) ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ს/კ N27.06.51.006) საბაზრო

ღირებულება დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 41500 ლარს.

3) ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ N27.05.44.009) საბაზრო ღირებულება დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 85600 ლარს.

დავით ლორთქიფანიძე

ილია აბესაძე

გამოკვლევა

შესაფასებელი უძრავი ქონების იურიდიული მონაცემები

1)(2014 წლის 16 აპრილს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - **№882014186941; ზონა** ლანჩხუთი – 27, **სექტორი** ნიგვზიანი – 14, **კვარტალი** – 50, **ნაკვეთი** – 005. **ნაკვეთის საკუთრების ტიპი**: საკუთრება, **ნაკვეთის ფუნქცია**: არასასოფლო სამეურნეო, **დაზუსტებული ფართობი**: 6500 კვმ. **შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:** N1 536,2 კვმ, N2 46 კვმ, N3 3.6 კვმ, N4 5.4 კვმ, N5 22 კვმ. **მისამართი:** მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი ნიგვზიანი. **მესაკუთრე** - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

2) (2016 წლის 13 აპრილს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - **№882016228914; ზონა** ლანჩხუთი – 27, **სექტორი** ნიგვზიანი – 14, **კვარტალი** – 45, **ნაკვეთი** – 261. **ნაკვეთის საკუთრების ტიპი**: საკუთრება, **ნაკვეთის ფუნქცია**: არასასოფლო სამეურნეო, **დაზუსტებული ფართობი**: 407 კვმ. **შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:** N1 - საერთო ფართით 386,9 კვმ. **მისამართი:** მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი ნიგვზიანი. **მესაკუთრე** - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

3) (2016 წლის 26 ივლისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - **№882016467658; ზონა** ლანჩხუთი – 27, **სექტორი** შუხუთი – 05, **კვარტალი** – 46, **ნაკვეთი** – 024. **ნაკვეთის საკუთრების ტიპი**: საკუთრება, **ნაკვეთის ფუნქცია**: არასასოფლო სამეურნეო, **დაზუსტებული ფართობი**: 912 კვმ. **შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:** N1 - საერთო ფართით 1053,3 კვმ. **მისამართი:** მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი შუხუთი. **მესაკუთრე** - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

4)(2010 წლის 07 ივნისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - **№882010636322; ზონა** ლანჩხუთი – 27, **სექტორი** ლანჩხუთი – 06, **კვარტალი** – 51, **ნაკვეთი** – 006. **ნაკვეთის საკუთრების ტიპი**: საკუთრება, **ნაკვეთის ფუნქცია**: არასასოფლო სამეურნეო, **დაზუსტებული ფართობი**: 564 კვმ. **მისამართი:** ქალაქი ლანჩხუთი, ქუჩა ჟორდანია. **მესაკუთრე** - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

5) (2017 წლის 27 ივნისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - **№882017556697; ზონა** ლანჩხუთი – 27, **სექტორი** შუხუთი – 05, **კვარტალი** – 46, **ნაკვეთი** – 009. **ნაკვეთის საკუთრების ტიპი**: საკუთრება, **ნაკვეთის ფუნქცია**: არასასოფლო სამეურნეო, **დაზუსტებული ფართობი**: 1782 კვმ. **შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:** N1, N2. **მისამართი:** მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი შუხუთი, **მესაკუთრე** - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

შესაფასებელი უძრავი ქონების აღწერა:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N27.14.50.005, N27.14.45.261 და N27.14.45.024 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. ექსპერტის მიერ მოხდა მათი ვიზუალური დათვალიერება და დასურათება (იხ. ფოტოილუსტრაცია), რის შედეგადაც დადგინდა რომ შენობა-ნაგებობები ავარიულ მდგომარეობაშია და ექვემდებარებიან დემონტაჟს. მათი დემონტაჟის გასაანგარიშებლად შედგენილი იქნა ხარჯთაღრიცხვები რესურსული მეთოდით და თანახმად N1-3 დანართებისა შეადგენს 14679 ლარს.

ექსპერტიზაზე ასევე წარმოდგენილი იქნა: 1)ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე N27.06.51.006 საკადასტრო კოდით

ზონა (უბანი ქინება) საკადასტრო კოდი N 27.06.51.394

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022351458 - 20/05/2022 18:45:51

მომზადების თარიღი
09/06/2022 16:55:04

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ლანჩხუთი	ლანჩხუთი		
27	**06**	**51**	**394**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 463.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **27.06.51.006;**

მისამართი: ქალაქი ლანჩხუთი , ქუჩა ჟორდანია

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882008319878 , თარიღი 30/10/2008 18:18:36

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N298 , დამოწმების თარიღი:02/06/2010 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- მომართვა N603 , დამოწმების თარიღი:30/10/2008 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრეები:
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:233730139

მესაკუთრე:
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882020866685 თარიღი 13/11/2020 13:02:14	**მოიჯარე:** ნამიბრილა ხიხაძე P/N: 62004017205; საგანი:16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; ვადა:5 წელი;
	ივარის ხელშეკრულება N5, დამოწმების თარიღი13/11/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლების რეგისტრაციის თარიღი 17/11/2020	
განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882022192023 თარიღი 22/03/2022 15:50:13	**მოიჯარე:** შპს "საქართველოს ფოსტა" 203836233; საგანი:6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.; ვადა:1 წელი;
	ივარის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი22/03/2022, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლების რეგისტრაციის თარიღი 28/03/2022	

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882022310147 თარიღი 05/05/2022 14:03:13	საგანი:მიწის ნაკვეთებზე ფართობით 6 კვ.მ. და 15 კვ.მ. ერცელდება სერვიტუტის უფლება;
უფლების რეგისტრაციის თარიღი 13/05/2022	

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემკვიდრეო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად მეიესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი



სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა UTM WGS 38N

ნაკვეთის ფართობი:	463 კვ.მ.
მისამართი: ლანჩხუთი : ქალაქი ჟორდანიას ქუჩა	
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო	

პირობითი აღნიშვნები:

- ● წერტილი
- — ნაკვეთის ფიქსირებული საზღვარი
- - - ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი
- ▒ ვალდებულება

შენობა-ნაგებობა

მდგომარეობა

- ▨ აშენებული
- ▭ დანგრეული
- ⌐¬ მშენებარე
- ⌐¬ მიწისქვეშა

— ხაზობრივი ნაგებობა

● ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი

ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე:		მეტრი
ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი:		მეტრი
ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე:		რაოდენობა
საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	ქრისტინე ბალიშაძე	
დაინტერესებული პირი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	
თარიღი :	17.05.2022 წ.	

შენიშვნა: რეგ. ნაკვეთის 27.06.51.006 დაყოფა

საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი		
მიწის ნაკვეთის / ხაზობრივი ნაგებობის ადგილმდებარეობა / მისამართი	ფართობი (კვ.მ)	დანიშნულება
ლანჩხუთი, ქალაქი, ჟორდანიას ქუჩა	463	სასოფლო-სამეურნეო

შენობა-ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა
1			
2			
3			

უფლებრივი შეზღუდვის / დატვირთვის საზღვრების აღწერა	ვალდებულების სახე	ფართობი (კვ.მ)
	სერბიტუტი	9
	სერბიტუტი	6

ხაზობრივი ნაგებობის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე	ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე (მ)	ხაზობრივინაგებობის თანამდევი წერტილოვანი ობიექტის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის თანამდევი წერტილოვანი

საზღვარი	მოსაზღვრის აღწერა
A ----- B	სახელმწიფო
B ----- C	გზა
C ----- D	გზა
D ----- A	კერძო საკუთრება

საკადასტრო აღწერის დამსწრე პირების სახელი გვარი	ხელმოწერა
ქრისტინე სალუქვაძე	
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	

საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი, გვარი	ქრისტინე სალუქვაძე
საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	61004043618
საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	551 17 70 16
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია	deSifrireba da horizontaluri agegmvis meTodi

აზომვის შესრულების თარიღი	17.05,2022 წ.	
საკადასტრო აგეგმვითი/ აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა	ქრისტინე სალუქვაძე	

დაინტერესებული პირი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	233730139
დაინტერესებული პირის ხელმოწერა	V.S.